ბათუმის ბულვარის შესახებ

ბათუმის ბულვარი არის ქალაქის მთავარი და ყველაზე ვიზიტირებადი ღირსშესანიშნაობა. სარეკრეაციო ზონა, რომელიც ამავდროულად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, საუკუნეზე მეტია რაც აერთიანებს ქალაქის სტუმრებსა თუ ძირძველ მაცხოვრებლებს. ის მოიცავს შვიდკილომეტრიანი სასეირნო, ზღვისპირა პრომენადს, 4 ისტორიულ ხეივანს, ველობილიკს, ტერიტორიაზე ხარობს 40 ათასზე მეტი, სხვადასხვა დროს დარგული ხე-მცენარე. თავისი ისტორიული მნიშვნელობით და უწყვეტი განვითარების ციკლით, ბათუმის ბულვარი იქცა ჩვენი ქალაქების სავიზიტო ბარათად სადაც ყველა პოულობს თავის ადგილს.

[1] მიხეილ დალფინსნი

ბათუმის ბულვარის ისტორიის საწყისებთან დგას ფრანგი დიდგვაროვანი, მეპაღე მეხოლ დალფინსნი. 1885 წელს ის დაინიშნა ქალაქის მთავარ მეპაღედ და სნორეფ მის სახელს უკავშირდება ბულვარის ფრანგულ სტილში განაშენიანება. ზღვისპირა პარკებსა და ბოტანიკურ ბაღის გამეხებასა და დაკვეშარებში ტეტანილი უდიდესი წვლილის აღსანიშნავად, ის „ბათუმის სანაპიროს კეთილ გენიად მონათლეს“. 2012 წელს დაიდგა დალფინსნის ბრინჯაოს ქანდაკება. თავისისვე დარგული ასწლოვანი ეკალიპტის წინ მჯდომარე მეპაღე კმაყოფილი მზერით გაპყურებს არეშმარეს.

[2] იასონ გორდეზიანის ძეგლი

ბათუმის ბულვარის განაშენიანებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მეპაღე–დეკორატორ იასონ გორდეზიანს, მისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გადასახლიდა ბულვარის მცენარეული საფარი, გაფართოვდა ძველი და ჩვიეშნა ახალი სანერგეები, ნარმატებული საქმიანობის შემდეგ, ის გაეგზავნა საბჭოთა-საზღვარგარეთ, სასსავლებლად. 1911 წელს მან ნარჩინებით დაამთავრა ვერსალის სასოფლო-სამეურნეო ნაციონალური ინსტიტუტი, შუმაობდა საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიისა და ჯოლანდიის საბაღო მეურნეობებში, ასევე ეკავა მეპაღე–დეკორატორის თანაშედგობრა ლონდონის სამეფო ბოტანიკურ ბაღში, ევროპაული გამოცყდილებით აღჭურვილმა, ქართველმა მეპაღეემ, საშმობლოში დაბრუნების შემდეგ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. 2012 წელს, ბულვარში გაიხსნა იასონ გორდეზიანის ძეგლი, რომელიც მიხეილ დალფინსნის მსგავსად, კმაყოფილი გაპყურებს არეშმარეს.

[3] ანტიკური სტილის კოლონადები

ათწლეულების მანძილზე ბათუმის ბულვარი იზრდებოდა და იცვლებოდნენ მისი ღირსშესანიშნაობებიც, თუმცა კოლონადას არასდროს დაუკარგავს აქტუალობა და ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ საკინძო ზარაფადად იქცა. ანტიკური სტილის კოლონადების პროექტი, იტალიიდან 1930 წელს, მაქსიმ გორკის დახმარებით ჩამოიტანა ბათუმელმა ვენმმა ოკანე ჭკვალთაძემ, მშენებლობას ხელმძღვანელობდა ქალაქის მთავარი არქიტექტორი, პაკელი ნადარეიშვილი ხოლო სამშენებლო სამუშაოებს ანარმოებდა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი ბოგდან ვორაკოსიანი, კოლონადა აიგო 1934 წელს, რაზეც მეტყველებს იქვე გაკეთებული მოზაიკური წარნერა. თავიდან ბულვარის მთავარ კარიბჭედ მოსაზრებული ანტიკური კოლონადა მის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს და სახასიათო ღირსშესანიშნაობად იქცა.

[4] საბაფხულო თეატრი

1948-1949 წლებში, ბულვარში დაიდგა ულურსმნოდ ნაშენები ხის უნიკალური ნაგებობა, რომელშიც ნარმოდგენები და კინეცერტები იმართებოდა, 1998 წელს ის დაიწვა ხოლო 2013 წელს ბათუმის საბაფხულოთ თეატრის ანალოგი დაუბრუნდა ქალაქს და ჩაება კულტურულ ცხოვრებაში.

[5] იაპონური ბაღი

უნიფერსიტეტის მიმდებარე მოედანზე, 1020 კვ.მ.-ზე გაშენებულია იაპონური ბაღი. აქ თქვენ ინხილავთ მინიატურულ ტბას, დეკორატიულ გადასასვლელად ხიდს, უნიკალური აღმოსავლური კულტურისთვის დამახასიათებელ ხე-მცენარეებსა და ფერთა გამას. იაპონური ბაღის პოვნა არ გაგიჭირდებათ, ორივე მესსაფლელში სახასიათო ნითელი ელფერის, იაპონური კარიბჭე დგას.

[6] ცენტრალური მოცეკვავე მადრევანი

გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის, გიორგი ერქუთაიშვილისა და სოფეხი ინეინერების გიორგიანაკურული ძალებით 1977 წელს ბულვარის მთავარ ფესსაფლელში დამოძღვდა სამი ფერადი მადრევანი. მიმდებარე ეერიერორია მალევე იქცა ბულვარის ყველაზე ეოცსხალ ნაწილად. 2007 წელს მადრევანს ჩაეტარდა მასშტაბაური რეკონსტრუქცია, დღეს ის უკვე მუსიკის თანხლებით, რიტმულად ავსებს ბულვარში არსებულ გარემოს. „სალამურიანი ბიჭების“ ვეიღის ქანდაკებებით გარსშემორტყმული მუსიკალური მადრევანი ერთ–ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია ტურისტებისთვის.

[7] კაფე ფანტაზია - „რვაფეხა“

ჩვენს ქალაქში მობაიკური ხელოვნების არაერთი ნიმუში მემორრა, რომელთაგან ყველაზე საინტერესო და მასშტაბური კაფე ფანტაზიაა, საბოგადოებისთვის ასევე ცნობილი სახელით „რვაფეხა“, ეს ადის ფუნქციური ქანდაკება ბათუმის ბულვარში, რომელიც 1981 წელს გაიხსნა. მხატვარ ზურაბ კაპანაძის ესკიზით შექმნილი საინტერესო ფორმის ღია კაფე–ბარი 37 წელი ფუფქციონირებდა და ზღვისპირა ქალაქის სავიზიტო ბარად იქცა. დღესდღეისთანაც ის სკულპტურულ ნაკეთებად აღიქმება, თუმცა მიმდებარე სარეკბილიკაკეთ სამუშაოების დასრულების შემდეგ, ისტორიული ნაგებობა პირვანდელი სახით დაგვიბრუნდება და ჩაებმება ქალაქის ცხოვრებაში.

[8] მაგნოლიების ალეა

ქვეელი ბულვარის პირველი ალეა „მაგნოლიების ალეის“ სახელით არის ცნობილი. ნინოშვილის ქუჩიდან პირველივე სასეირნო ბილიკი დაახლოებით კილომეტრის სიგრძისაა მას სხვადასხვა ზომის მაგნოლიები აშშეენებენ, აშ შარადმწვანე შეეხარეს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენი ქალაქის „ავეთტეტრ რეკაზე“. ბულვარში სამი საუკუნის წანმდლზე ირგვებოდა ეს ულამაზესი მეცნარე და მისი პირდაპირი გაგებით თავბრუდამხვევი სურნელება ბულვარის გაჩეყოფილი ნანილია.

[9] პალმების ალეა

ბათუმში ხშირად გვხვდება სუბტროპიკული, მარადმწვანე ხე–მცენარე პალმა. ბულვარში მას ცალკე ალეა ეთმობა, რომლის გაშენებაც 2003 წელს დაიწყო და დასრულებული იერსახე 2006 წელს მიიღო. ალეის სიგრძე 4,7 კილომეტრია და ის ბულვარის მთლიან სანაპირო ზოლს მოიცავს.

[10] ღია კორტები ბულვარში

ჩვენს ბულვარში, უკვე წლებია ფუნქციონირებს ევროპული სტანდარტების შესაბამისი, ღია კორტები. აქ იმართება სხვადასხვა დონის საერთაშორისო ტურნირები, ყოველდღიურად ჯარაბიმთეს სპორტსმენები. აქეიერი დასვენების მოყვარულებს შეეძლიათ ფსეფშორს ოოგბრეთის მოედანს და ზღვისპირა პარკის ულამაზეს ნანილში დაკავდნენ საყვარელი სპორტით.

[11] შუქურა

ბათუმის შუქრის პირველი ნაგებობა ჯერ კიდევ 1863 წელს ბულვარის დაარსებამდე ეგვიანი, 1882 წელს ფრანგი ინეინრების პროექტით, ის გადაკეთდა და უკვე 155 წელია ბავ ზღვაში შეშესელ გემებს აძლევს მიმართულებას. მისი ნათება 14 საზღვაო მილს აღწევს. საუკუნოვანი ისტორიის გარდა, შუქურას გააჩნია უნიკალური მდებარეობა, სადაც გრძედისა და განედის 41 გრადუსიანი პარალელები ემთხვევა ერთმანეთს. ბათუმის შუქრის ნაგებობაში ასევე გაშთავსებულია პიდროგრაფიული სამსახური, სადაც სინოპტიკოსები 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ და მეტეო პირობებს აკვირდებიან. თავისი დროის, საინჟინრო ხელოვნების პროგრესული ნიმუში ჩვენი ქალაქის ერთ-ერთთ სიმბოლოა.

[12] იახტ კლუბი

იახტ-კლუბი „ეშმაკის ბორბალის“ მიმდებარე ტერიროტირაზე მდებარეობს. ეფსტერეფმალური ფასვეტენი ფასვეტენს, აქ მეეძლიაათ იქირაონ პარაპლანები და სიმაღლიდან დაატკბნენ შავი ზღვის ხედვებით. ასევე თქვენ შეგიძლიათაო „გაისეირნოთ“ ზღვაში პატარა, კომფორტული იახტების მეშეეფოით.

[13] დელფინი თუ ვეშაპი?

ბულვარში ცენტრალურ შესასვლელში დგას საკმაოდ უცნაური და საინტერესო დიზაინის შენობა, რომელიც ბოგიერთს დელფინს მოაგონებს ხოლო ფიი ფანტაზიის მქონე ვინმეირნები ვეშაპის სილუეტსაც კი გამოკვეფენს ხოლმე. სინამდვილეში ეს შენობა არის ქორწინების სასლი. თუ კი ბულვარის რომანტიულმა ატმოსფერომ და სალამო ხანს გასეირნებამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიგაღებინათ, ხელის მოსსნერად ძორს ნასვლა არ მოგინევთ.

[14] ანბანის კოშკი

ბულვარში, „საოცრებათა პარკის“ ტერიტორიაზე აღმართულია 130 მეტრის სიმაღლის „ანბანის კოშკი“. კოშკის ფიზიანის შთაგონება ფმნ-ის სტრუქტურაში ჩაბეჭდილი ქართული ანბანია, რომელიც ყოველთვის ივავებდა განსაკუთრებულ ადგილის ჩვენი ერის ცნობიერებაში. ორი სპირალური ხანი, 4 მეტრის სიმაღლის 33 ასოსთან ერთადაა აზიდული კოშკის გარშემო. ამგვარად, იდეის ავტორებმა ქართველი ხალხის თვითმყოფადობის ჩვენება, ძალზედ ორიგინალური ხერხით შეძლეს. ესპანელი არქიტექტორის ალბერტო დიმინგო ვაბოს პროექტით შექმნილი, ესპრესიონისტული ნაგებობა, საზღვაო სანაპიროდან ჩრდილოეთით მდებარეობს. ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, კოშკის სტემრეს აძლევს სპუსალებას, ბოლო სართულზე მდებარე ოსსერვატორიიდან, თვალი აფევნონ ულამაზეს პარორამული ხედებს ან ერთი სართულით ქვემოთ დატკბნენ ქართული სამმაღლეულის მრავალფეროვნებით, ძირძველ რესტორანში, რომელიც 60 ნეთის მანძილზე ერთ სრულ ბრეს ასრულებს.

ბათუმის ბულვარის ქვესტები

ტურისტულ რეკაზე ყველაფერი დატანილი რომ იყოს, მოგზაურობა მოსსაწყენი და ერთფეროვანი გახდებოდა. ჩვენ გთავაზობთ შექმნათ თქვენი, ინდივიდუალური მარშრუტი და თავგადასავალი, ქვესტები არსებული მიმიმეზეების დასმარებით. იპოვეთ ბათუმის ბულვარის სიმწვანეში ჩაფლული, ნაკლებად ცნობილი ღირსშესანიშნაობები და დაინყეთ ამ ულამაზესი ზღვისპირა პარკის შეცნობა.

გაითვალისწინეთ: ქვესტებზე პასუხის პოვნა შეგიძლიათ რეკაზე მოთავსებულ ყვითელ ნოგეში.

[1] ქვესტი

თავიისივე დარგული, ასწლოვანი ეკალიპტის ნინ მოკალათებულია შუა ხნის მამაკაცი, თავზე შლაპითა და ხელჯოხით. მისი პოვნა არ გაგიჭირდებათ, ცენტრალური შესასვლელის ტერიტორიაზე, სადაც ის ეგებება ქალაქის სტუმრებს და ბევრ საინტერესო დეტალს უყვება ბულვარის ისტორიიდან.

[2] ქვესტი

რა არის თავისუფლება? ან სად უნდა ეიპოვოთ ის? კაცობრიობა საუკუუნეების მანძილზე ცდილობს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას. ვენე დაგპირდებით, რომ ჩვენი ქვესტი მას გაპოვნინებთ, მაგრამ ახალი ბულვარის ტერიტორიაზე მისი ფრანგული ვარიანტი ძალზედ საინტერესო ფორმითაა ნარმოდგენილი.

[3] ქვესტი

ბათუმის ბულვარში ოცნებები ხდება! – ამ ამბიციურ განცხადებას ბერეს უმაგრეს, ახალ ბულვარში არსებული „ოცნების სვეტი“, რომლის სამოვნეველადაც თქვენ უნდა გაიაროთ 150 მეტრის სიგრძის ლაბირინთი. ნესეების თანხმად, ის ვინც ლაბირინთის თავსაატეხს ამოხსნის და სვეტთან მივა, იქ ჩაფიქრებული ოცნება აუცილებლად აუხდება!

[4] ქვესტი

ტურისტებს ბულვარში ხშირად რჩებათ პირადი ნიეთები და მათ იბრუნებენ კიდევ, თუმცა ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე „მიტოვებულ ფეხსაცმელებს“, ნლების მანძილზე არ გამოუჩნდა პატრონი. სამაგიეროდ ისინი პოპულარულ ტურისტულ ატრაქციად იქცნენ, სადაც ფოტოს გადაღება აუცილებელი რიტუალია ბათუმში ჩამოსულთისთვის.

[5] ქვესტი

ბათუმის ბულვარის ლოგოს კონცეფციის საკამაოდ საინტერესო იდეა უდევს საფუძვლად, რომლის გამოფენენაც ერთი მეზეფდთ. არც ისე მარტივია მიგანიშნეთ, რომ ლოგოს მინაარსი უკავშირდება ბულვარის ერთ–ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას, რომელიც იქვე გაკეთებული მოზაიკური ნარნერის თანხმად 1934 წელს აიგო და ანტიკური ელფერი შესძინა შავი ზღვის სანაპიროს/ზღვისპირა პარკს.



ბათუმის ბულვარი 1881

ტურისტული რუკა

[15] „ქალი ველოსიპედზე“

ჩვენს ბულვარში მშვიდი და რომანტიული ატმოსფერო ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა, რასაც კალსიკური სტილის შადრევნების სიმრავლემაც შეუწყო ხელი. 2012 წელს ირაკლი ჟვანიას პროექტის მიხედვით, შეიქმნა საინტერესო სტილის, უმშვენიერესი ქანდაკება - „ქალი ველოსიპედზე“, რომელიც ასევე ულამაზესი შადრევნის აუზში ჩაიდგა და სინქრონულად ჩაება ძველი ბულვარის ცხოვრებაში.

[16] ვეტერანთა კლუბი

2004 წელს, ბულვარში გაიხსნა „ვეტერანთა კლუბი“, რომელიც ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ, ნონა გაფრინდაშვილის სახელს ატარებს. აქ ყოველ დღე, ამინდის მიუხედავად იკრიბებიან ბათუმელი „ვეტერანები“, თამაშობენ ჭადრაკს, ნარდს და განიხილავენ დღისა თუ საუკუნის მნიშვნელოვან მოვლენებს. ამ ადგილს აუცილებლად უნდა ეწვიოთ, გამოცდილი ბათუმელი ვეტერანების ღიმილი, ვინტაჟური ჩაცმულობა და ხელჯოხების სიმრავლე, პოზიტიურ განწყობაზე დაგაყენებთ, შეიძლება სათამაშოდაც კი გამოგიწვიოთ რომელიმე ძველმა კორიფემ.

[17] ზოო კუთხე

ბათუმში როგორც ფლორა ასევე ფაუნა მრავალფეროვანი სახეობებითაა წარმოდგენილი. ბულვარის შუაგულში არსებულ ზოოკუთხეში 140-ზე მეტი ბინადარია. ერთ-ერთი გამორჩეული და „ინტელექტუალური“ ფრინველი არის 15 წლის ვარხვი სახელად ბებერო, რომელიც საკუთარ სახელზე რეაგირებს და ენთუზიაზმით პოზირებს ტურისტების ობიექტივის წინ.

[18] ალი და ნინო

ბულვარის ერთ–ერთი ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობაა, კინეტიკური ქანდაკება – „ალი და ნინო“. შვიდმეტრიანი კონსტრუქცია, 8-10 წუთის ინტერვალით ასრულებს წრიულ მოძრაობას, რომლის დასასრულსაც, ქალისა და მამაკაცის სილუეტები გეომეტრიული სიზუსტით ერწყმიან ერთმანეთს. ქანდაკება შექმნილია აზერბაიჯანელი მწერლის, ყურბან საიდის იმავე სახელწოდების რომანის მიხედვით. ამერიკაში მოღვაწე ქართველი ხელოვანის, თამარ კვესიტაძის ქმნილება, არის მუდმივი მოძრაობის, სიყვარულისა და კულტურათა შერწყმის სიმბოლო, თუმცა ნებისმიერ დამთვალიერებელს, ამ უნიკალური ძეგლის ხილვისას, ინდივიდუალური გრძნობები და ემოციები ეუფლება.

[19] უკრაინული სკვერი

1970-იან წლებში, ბათუმელმა მწერალმა, ამირან შერვაშიძემ ბულვარის ტერიტორიაზე, ცნობილი მწერლებისა და პოეტების სკვერის მოწყობა განიზრახა. ამ მიზნით მან კიევიდან გამოჩენილი უკრაინელების, ლესია უკრაინკასა და ტარას შევჩენკოს ბიუსტები ჩამოიტანა. ბიუსტები დაიდგა კოლონადების მიმდებარე ტერიტორიაზე და შედეგად ბათუმში დაარსდა ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს, უკრაინის სკვერი. აღსანიშნავია გამოჩენილი უკრაინელი პოეტი ქალის - ლესია უკრაინკას კავშირი საქართველოსთან, სადაც მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა და მათ შორის, არაერთხელ ყოფილა ჩვენი ქალაქის სტუმარიც.

[20] მოცეკვავე შადრევანი არდაგანის ტბაში

ძველი ბულვარის ტრადიციის დაცვით, ახალ ბულვარშიც არაერთი ღირსშესანიშნაობა გვხვდება. არდაგანის ტბაში დამონტაჟდა ფრანგული მოცეკვავე შადრევანი, რომელიც მნახველებს ჰოლოგრამით გაფორმებულ სანახაობს სთავაზობს. მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია სპეციალური სივრცე საიდანაც ტურისტებს შეუძლიათ თვალი ადევნონ შთამბეჭდავ შოუს.

[21] ბავშვთა გასართობი სივრცე

როგორც უკვე ვახსენეთ, ბულვარში ყველა პოულობს თავის ადგილს. ყველაზე პატარა და ძვირფასი სტუმრებისთვის კოლონადების მოპირდაპირე მხარეს და ასევე ახალი ბულვარის ტერიტორიაზე მოწყობილია ბავშვთა გასართობი მოედანი სადაც ყველა პირობაა შექმნილი თქვენი პატარების ბედნიერებისთვის.

სკულპტურული მრავალფეროვნება

ბათუმის ბულვარმა განვითარების არაერთი ისტორიული ეტაპი განვლო. სამი საუკუნის მანძილზე, ბულვარი იყო განსხვავებული სტილის, არქიტეუქტურისა თუ კულტურის გადაკვეთის ადგილი შედეგად სამივე ეპოქამ თავისი კვალი დაგვიტოვა. ბულვარში შეხვდებით როგორც ანტიკური სტილის კოლონადებს ასევე კლასიკურ ბიუსტებსა თუ თანამედროვე ხელოვნების ძალზედ საინტერესო ნიმუშებს.

სავარჯიშო სივრცე

ბულვარი კულტურულ-სარეკრეაციო ფუნქციებთან ერთად ითავსებს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მისიასაც. თუ კი უგმერიელესი ქართული სამზარეულოთი მოხიბლულებმა გადაწვიტეთ ფორმაში ჩადგომა, ბულვარის ტერიტორიაზე ტრენაჟორების რამდენიმე კუთხეა მოწყობილი სადაც ვარჯიშისთვის ყველა პირობაა შექმნილი.

ბათუმველო — ველობილიკი

ქალაქის მასშტაბით 23 ველო-ტერმინალია განთავსებული, რომელთა უმეტესობაც ბულვარის ტერიტორიაზეა. ნებისმიერ მსურველს, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში შეძენილი ბარათის მეშვეობით შეუძლია ისარგებლოს კომფორტული, სპეციალურად სეირნობისთვის შექმნილი ფრანგული ველოსიპედით და მოიაროს ბულვარის ვრცელი ტერიტორია.

ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

ინფორმაციას, რომელიც ამ რუკამ ვერ დაიტია და ასევე ყველა შეკითხვაზე პასუხს მოიძიებთ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში, რომელიც ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში მდებარეობს.

ტელ.: 577 90 90 91 / 93
ვებ.: gobatumi.com

ბათუმის ბულვარი
1881



WWW.BOULEVARD.GE
მოგვყევით @BATUMIBOULEVARD